

2 მარტს სსიპ-საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში შედგა სემინარი თემაზე: *“გამა გამოსხივების მქონე პულსარებში მაგნიტოცენტრიდანული ეფექტების შესახებ”*. მოხსენება წაიკითხა ობსერვატორიის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ზაზა ოსმანოვმა. სემინარს ZOOM-ის მეშვეობით ესწრებოდა 25 მეცნიერი. მოხსენება საინტერესოდ წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

#### ანოტაცია:

მოხსენების ფარგლებში ნაჩვენებია მაგნიტოცენტრიდანული აჩქარების მექანიზმის ეფექტურობა პულსარების მაგნიტოსფეროში. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ აღნიშნული მექანიზმი კარგად ხსნის როგორც კიბორჩხალას პულსარის ჯეტების სიჩქარის მორფოლოგიას და მის ტევურ გამოსხივებას, აგრეთვე გაფართოებული

მაგნიტოცენტრიდანული მექანიზმის ფარგლებში გამოკვლეულია ულტრა-მაღალი ენერგიების მილების

შესაძლებლობა ჩვეულებრივ მილიწამოვან და ახალგაზრდა მილიწამოვან პულსარებში.

